

ბორითში მერაბ კოსტავას სახელობის სკვერი გაიხსნა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ხარაგაულელეებმა, ტრადიციულად, ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას ტრაგიკულად დაღუპვის ადგილას, ბორითში აღენიშნეთ.

მერაბ კოსტავას ხსოვნის მემორიალთან მისი სულის მოსახსენიებელი პარაკლისი მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მეფეემ **პისპარკოსმა იმედიანე (ხაჩიპ)** გადაიხადა.

ქვეყანა, რომელსაც ისეთი დიდებული ადამიანები ჰყავს, როგორც იყო მერაბ კოსტავა, ღირსია დამოუკიდებლობისა, - ბრძანა მეფემ პარაკლისის შემდეგ, - უბრალოდ დამთხვევა არ არის, ღვთისგანაა ბოძებული, რომ დღეს, 26 მაისს, ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს, საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას, დაბადების დღეს აღვსავთ.

ღმერთმა აცხონოს მისი უკვდავი სული, ყოველთვის მლოცველი იყოს ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **პოპა ლურსაგანაშვილმა** ბორითში, მერაბ კოსტავას ხსოვნის მემორიალთან აღნიშნა, რომ იღვებო, რომელიც ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა გამოკვეთეს და გააძლიერეს, დღესაც აქტუალური და მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის. მან აღნიშნა, რომ ბევრ ხარაგაულელთან ერთად, მასაც ჰქონდა პატივი, ყოფილიყო ქვეყნისათვის მონაწილე რაინდის, მერაბ კოსტავას, თანამებრძოლი.

„ყველა აქ მყოფს და სრულიად საქართველოს ვულოცავ დამოუკიდებლობის დღეს. ბევრი ადამიანი შეენიშნა თავისუფლებისათვის



ბრძოლას. ჩვენ დღესაც გვიხდება თვითმყოფადობისა და ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლის გაგრძელება. უფალმა ინებოს, გააძლიეროს ჩვენი ქვეყანა, გახადოს ერთიანი, - როგორც ეს სურდა ჩვენს ეროვნულ გმირს, მერაბ კოსტავას, - აღნიშნა კობა ლურსაგანაშვილმა.

შეკრებილთ დამოუკიდებლობის დღე მიულოცა ვაშლევის საჯარო სკოლაში სტუმრად მყოფმა, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაჭარაქის სომხურენოვანი საჯარო სკოლის დირექტორმა **მარინა ოქროძე** იმედიანე. ამავე სკოლის მოსწავლეებმა კი შესრულეს ქართული სიმღერა.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ შეკრებაზე ბორითში პატრიოტული სიმღერები შესრულა ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებულმა გაუთა ფოლკლორულმა ანსამბლმა (ხელმძღვანელი ზაქარია ბერაძე). ბორითში, მემორიალთან გაიხსნა მერაბ კოსტავას სახელობის სკვერი.

ბორითის კულტურის სახლში გაიმართა რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის (რეჟისორი და მსახიობი იზა ვეფხვაძე) სპექტაკლი „საქართველოს შიმველი სატევარი“. სპექტაკლი მერაბ კოსტავას ხსოვნას ეძღვნება. **ლარსა გოგოლაძე**

ღარიხეველები - მბლები შეგვჩაბენ მალე...

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 18 მაისის სხდომაზე ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მაცხოვრებლები ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **პარკაძე შიგაშვილმა** მიიწვია. მოქალაქეების განცხადებით, სხდომაზე იმის დასადასტურებლად მივიდნენ, რომ ბაზალეთის ცენტრალურ გზაზე ვარვანათების მონკობა ნამდვილად მათი სურვილია. მოქალაქეებმა გააპროტესტეს საკრებულოს თავმჯდომარის პოზიცია, რომელიც ბიუჯეტთან სუსხილით დაფინანსებულ ვაზეთში „ახალი ხარაგაული“ გამოქვეყნდა.

საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით და ვარლამ ჭიპაშვილის ორგანიზებით, 22 მაისს, ინვა მალრაძე ბაზალეთში, ღარიხევესა და ქროლში მოსახლეობას შეხვდა. მასთან ერთად შეხვედრებს დაესწრა მთავარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი **მარი ბარაძე** და ადგილობრივი ხელი-სუფლების წარმომადგენლები.

„მინდა შედგეს დიალოგი ჩვენს შორის. 18 მაისს მობრძანდით და პირადად ჩემს მიმართ გქონდათ პრეტენზიები. თქვენ ამბობთ, რომ ვარლამი ძალიან კარგი დეპუტატია, ეს მახარებს. ანგარიშგაღებულეები თქვენს წინაშე

ვართ და თუ არჩეული დეპუტატი ამართლებს ნდობას, ეს კარგია,“ - აღნიშნა ინვა მალრაძემ შეხვედრებზე. მოსახლეობამ და **პარკაძე შიგაშვილმა** კატეგორიულად და მოითხოვეს ინვა მალრაძისგან, თუ რატომ დააყენა მან ეჭვქვეშ სოფლის კრებაზე გადაწყვეტილი საკითხი. „გავარკვეით, იქნებ უურნალოდ შეგვიყვანა შეცდომაში, - სად ვეძებთ სამართალი,“ - ამბობდნენ მოქალაქეები.

ინვა მალრაძის განმარტებით, მას სრული უფლება ჰქონდა, ეწარმოებინა მონიტორინგი და ეკითხა მოსახლეობისთვის, თუ რა მოხდა კრებაზე. „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადგილებიდან მიდიოდეს ინიციატივები და თქვენი საჭიროებები გამოიკვეთოს. ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი ფული გონივრულად განვყარავთ. ჩემი მთავარი გზავნილი თქვენდამი იყო ის, რომ მეტი მინდოდა მომესმინა თქვენგან. კითხვის დასმის უფლება ნამდვილად მქონდა.“

ინვა მალრაძის თქმით, მოსახლეობას ცრუ ინფორმაცია მიანოდეს, თითქოს ის ეწინააღმდეგება ბაზალეთში გზის რეაბილიტაციას.

აბების აკიდო

მიმდინარეობს გაზეთი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის, **პაატა გოგოლაძის**, ინფორმაციით, დაბა ხარაგაულში მცხოვრებ ნებისმიერ პირს შეუძლია განცხადებით მიმართოს „სოკარ ჯორჯია გაზის“ ხარაგაულის მომსახურების ცენტრს და მოითხოვოს გამოფიცება. პაატა გოგოლაძის თქმით, გამოფიცების მსურველთა რაოდენობა შეზღუდულია. დაწვრილებით ინფორმაციას გამოფიცების მსურველი მოქალაქეები ადგილზე მიიღებენ.

საბუღალტროს ამოქმედდა

ხარაგაულში ახლად გახსნილი ემერჯენს-ამბულატორია მუშაობას შეუდგა. შპს „რევიონული ჯანდაცვის ცენტრი“ ხარაგაულის დირექტორის, **ქეთევან აბრამიშვილის** ინფორმაციით, ახალგახსნილ ამბულატორიაში მიმდინარეობს ყველა ის გადაუდებელი და გემიური ამბულატორიული მომსახურება, რასაც ახორციელებდნენ ძველ საავადმყოფოში. თუ პაციენტი სტაციონარული მომსახურება სჭირდება, ჯერჯერობით კვლავ ძველი საავადმყოფოთი სარ-

გებლობენ. მედპერსონალი გადამზადდა ახალ აპარატურაზე სამუშაოდ.

ქეთევან აბრამიშვილის ინფორმაციით, ახალ ამბულატორიაში ყველა სამუშაო პირობა აქვთ შექმნილი. აქვთ ინტერნეტი, ელექტროენერგია, წყალი. მუშაობს ლაბორატორია. ლაბორატორიული მომსახურება წარმოებს ასევე ძველ საავადმყოფოშიც.

ქეთევან აბრამიშვილის ინფორმაციით, ყოველ სამშაბათს, 10.30 სთ-დან 14.30 საათამდე ხარაგაულის ამბულატორიაში იმუშავებენ მონვეული სპეციალისტები - ექოსკოპისტი და ენდოკრინოლოგი.

საატმოსფერო გამოცდები დაიწყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 234 კურსდამთავრებულია. საატმოსფერო გამოცდები 21 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა. წინასწარი, არათვითმართვითი მონაცემებით, 40-ზე მეტმა ხარაგაულელმა კურსდამთავრებული საგამოცდო ზღვარი ვერ გადალახა.

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის **ღამია კვიციანი** ინფორმაციით, გამოცდებზე ხარვეზები არ დაფიქსირებულა, პროცედურული და ტექნიკური სახის დარღვევები არ ყოფილა.

ხარაგაულში 15 საგამოცდო ცენტრი მოქმედებდა. გამოცდებს დამკვირვებლები ადევნებდნენ თვალყურს. 15-ვე საგამოცდო ცენტრში შეუფერხებლად სარგებლობდნენ ინტერნეტით და უწყვეტად მიეწოდებოდათ ელექტროენერგია. გამართული იყო ტექნიკა. მხოლოდ ღორუმის საჯარო სკოლაში გაითიშა ვიდეოთვალი, რომელიც ნახევარ საათში აღადგინა ისტ მენეჯერმა.

„უახლოეს დღეებში ეროვნული საგამოცდო ცენტრი მოგვანოდებს ჩვენი კურსდამთავრებულების ზუსტ შედეგებს, - ამბობს დავით კვიციანი, - მათ, ვინც წელს რამდენიმე საგანში ვერ გადალახეს ზღვარი ერთ ან რამდენიმე საგანში, გაისად მხოლოდ ამ საგნებში ჩააბარებენ გამოცდებს ატმოსფეროს მისაღებად.“

პარკისა და ღია მსტრადის აღდგენა იწყება

ხარაგაულის ცენტრალური პარკისა და ღია მსტრადის რეაბილიტაციისთვის ტენდერი 22 მაისს გამოცხადდა. სამუშაოების საჯარო ღირებულებაა 489 922 ლარი. სატენდერო წინადადებები მშენებელი ორგანიზაციებისგან 29 მაისამდე მიიღება. ხარაგაულის პარკისა და ღია მსტრადის რეაბილიტაცია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენისთანავე დაიწყება.

მეუფე მელქისედეკმა გიმნაზიის ხელმძღვანელი წარადგინა



„მადლობა უფალს, რომ მოგვეცა საშუალება, კიდევ ერთხელ ჩავგვეტარებინა წირვა ამ დალოცვილ, ჩვენი ეპარქიის ულაბაზე კუთხეში, - დაბა

ხარაგაულში,“ - აღნიშნა მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მეუფემ, ეპისკოპოსმა **მელქისედეკმა (ნაჩიძე)** ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხელმძღვანელი და პედაგოგი. ამიერიდან

ბულის ეკლესიაში სამეუფეო წირვის შემდეგ დღეს, 24 მაისს.

მეუფემ დღევანდელი უსურვა ხარაგაულელ მრევლს და ხარაგაულის სასულიერო გიმნაზიის ახალი დირექტორი წარუდგინა:

„უფლის ხელში ვართ ყველა და ეკლესია საითაც მოგვიწოდებს, იქ მივდივართ. რამდენიმე თვე ჩვენთან მოღვაწეობდა მამა იოსები (გამიჩავა), რომელიც პატრიარქის კურთხევით ფშავ-ხევსურეთის ეპარქიაში გადავიდა. ის ხელმძღვანელობდა ხარაგაულის სასულიერო გიმნაზიას.

უდიდესი ისტორიის მქონეა ხარაგაულის სასულიერო გიმნაზია, ძალიან წარჩინებული, სამაგალითო და სანიმუშო მთელ საქართველოში. ამიტომ უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა, იყო ამ სკოლის ხელმძღვანელი და პედაგოგი. ამიერიდან

ხარაგაულის სასულიერო გიმნაზიის ხელმძღვანელს მღვდელმონაზონი, უბისის მონასტერში მოღვაწე **მამა ანტონი (სულთანოვი)**.

მამა ანტონმა მიიღო უმაღლესი სასულიერო განათლება თბილისის სემინარიასა და აკადემიაში. რამდენიმე წელია, უბისის მონასტერში მოღვაწეობს. იქ აღიკვეცა ბერად და ეკურთხა მღვდლად. მამა ანტონი გამოჩენილი თავისი სულიერებით. მოხსენიებული ლოცვებში, რათა გაძლიერდეს. მას დაეკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა და უნდა იზრუნოს მომავალი თაობის აღზრდაზე. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს სწორი განათლება მიეცეთ, რათა აღიზარდონ ჭეშმარიტ მართლმადიდებლებად, ღვთისა და სამშობლოს პატივით.

სასულიერო გიმნაზიის ახალ ხელ-

მძღვანელთან ერთად დავლოცავ გიმნაზიის ყველა პედაგოგს. მოვეცეთ უფალმა ძალა და მადლი, რომ პირნათლად ემსახუროთ მომავალი თაობის აღზრდას.

მამა ანტონი, მამა ანდრიათან ერთად, ხარაგაულის ტაძარშიც იმსახურებს. დიდი მადლობა მამა ანდრიას, გამორჩეულ მოძღვარს, რომელიც ჩემი დავალებით ეპარქიაში გალობის განყოფილებას ხელმძღვანელობს.

ღვთის შენებნით, იმედია, მალე დასრულდება ხარაგაულის საკათედრო ტაძრის მშენებლობა და ვიმედოვნებთ, რომ უწმინდესიგან მივიღებთ დალოცვას ტაძრის გახსნაზე.

წირვის შემდეგ მეუფე მელქისედეკმა ხარაგაულის ქუჩები აკურთხა და დაბა ხარაგაულში მცხოვრებ ათ სოციალურად დაუცველ ოჯახს კვების პროდუქტები გადასცა.

29 მაისს ხარაგაულში პრემიერა

ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებული ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი მაცურებლის წინაშე სპექტაკლით „დარისპანის გასაჭირი“ წარსდგება. რეჟისორი **ირინე ჩხეიძე** თვლის, რომ „დარისპანის გასაჭირი“ ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი შედევრია და აუცილებლად უნდა იყოს თეატრის რეპერტუარში. მისივე თქმით, ხარაგაულის თეატრის ამ სპექტაკლმა 25 წლის წინ საქართველოს სახალხო თეატრების ფესტივალის გრან-პრი დაიმსახურა. „დღემდე განუწყვეტლად იდგმება ეს სპექტაკლი საქართველოს ყველა თეატრში. პრობლემები, რომლებიც მეოცე საუკუნის დასაწყისში დავით კლდიაშვილმა დააყენა, დღესაც აქტუალურია. სხვაგვარ ინტერპრეტაციას ვთავაზობთ მაცურებელს - შესავალი და ფინალი იქნება განსხვავებული,“ - ამბობს ირინე ჩხეიძე.



ასაკში ითამაშა ამ სპექტაკლში. მაშინ სპექტაკლი დიმიტრი ბოვერადის რეჟისორობით დაიდგა. „თამაში კიკნაძე იყო საუცხოო პარტიორი, - არაჩვეულებრივად ასრულებდა დარისპანის როლს. თამრიკო იორდანიშვილი და

ვის **ლია ჭიკაშვილი** დაჯილდოვდა. ამჯერად ლია ისევ ნატალიას როლს ასრულებს. ლია ორმაგ პასუხისმგებლობას გრძნობს და სურს, მაცურებლის მოლოდინები გაამართლოს.

სპექტაკლის დებიუტანტია **დავით ჭიკინაძე**. ის ოსიკოს როლს ასრულებს. „ძალიან გამხიარდა, ირინე ჩხეიძემ ეს როლი რომ შემომთავაზა. მინდა ვაგამართლო რეჟისორის იმედი. ცხოვრებაში არ ვგავარ ოსიკოს, - მზითვიან ქალს არ ვეძებ. რეჟისორიდან დანწყვეული, ყველას დიდი გამოცდილება აქვს სპექტაკლებში თამაშის. როგორც დებიუტანტი, დიდ მადლობას ვუხდით ყველას ნდობისათვის,“ - ამბობს დავით ჭიკინაძე.

ნინო ლეკოსიძე 25 წლის წინ ოსიკოს როლს ასრულებდა. ამჯერად ის ონისიმე მათარაძეს განასახიერებს. 1990 წელს ლიმაბაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე ის „ფესტივალის პირველი მამაკაცის“ ნომინაციაში გამარჯვებულად დაასახელეს.

„ეს პიესა ყოველთვის აქტუალურია, - ამბობს ნიკო დეკანოზიძე, - 29 მაისს ხარაგაულელ მაცურებელს თუ მონაწილეს და ტაში დასცხო, ქუთაისშიც კარგად მივიღებენ. ხარაგაულელი მაცურებელი ძალიან გემოვნებიანია და უსტად ვაფასებს.“

დარისპანის როლს, 25 წლის შემდეგ, თამაშ კიკნაძის ვაჟი **პატილ კიკნაძე** ასრულებს. „უდიდესი პასუხისმგებლობას ვგრძნობ, რადგან ამ სპექტაკლმა დიდი წარმატება მოუტანა თავის დროზე ხარაგაულის თეატრს, - ამბობს ვასილ კიკნაძე, - იმ დონეზე აღბათ ვერ შევძლებ, როგორც მამა ასრულებდა ამ როლს, მაგრამ არც არაფერს დავაკლებ და თავს არ შევირცხვენ. ვუსურვებ სპექტაკლს წარმატებას.“

ხარაგაულის კინოთეატრში სპექტაკლის პრემიერა 29 მაისს 18 საათზე შედგება. ბილეთის ღირებულებაა სამი ლარი. ბილეთებს შეიძენთ ხარაგაულის კულტურის ცენტრში.

„ნაბიჭი ხარაგაულის“ აქცია ხარაგაულში

ხარაგაულში კინოთეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაბიჭი ხარაგაულის“ (ხელმძღვანელი რუსუდან გურგენიძე) ორგანიზებით გაიმართა შშმ პირების მხარდაჭერის აქცია „ჩემი შესაძლებლობები შევლუდავია“.

აქციის ფარგლებში ბავშვებმა ნახატები შეასრულეს.

ორგანიზაციის ხელმძღვანელის, **რუსუდან გურგენიძის** თქმით, შშმ ბავშვების ასეთი აქტივობა ყოველთვის მნიშვნელოვანია. „აუცილებელია და საჭიროა საზოგადოების მხრიდან ყურადღება. ისინი თანდათან ვახდებიან საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.“ - ამბობს რუსუდან გურგენიძე.

პოპა ლუსსასაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი: -სოლიდარული ვარ იმ ოჯახების მიმართ, რომელთა შვილები მეტად საჭიროებენ საზოგადოების მხრიდან თანადგომას და

ხელისუფლებისგან კონკრეტული ღონისძიებების გატარებას. დიდი საჭიროებაა მათ წინაშე. ამ ოჯახებს გარკვეული ფინანსური დანახარჯები სჭირდებათ, რაც მათთვის ძნელად მოსაპოვებელია. საბოლოოდ იმ მიმართულებით ნავედით, რომ მათი საზოგადოებაში ადაპტირებისთვის დღის ცენტრი გაკეთდეს. ერთი დღის ცენტრის მოწყობა უკვე გადაწყვეტილია კოცხში, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

ნება გაღრამი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: -ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ შევქმნათ უკეთესი გარემო შშმ პირებისთვის, მათი ღირსეული ცხოვრებისთვის. აქციის მიზანს ეს არის. სოციალური რეაბილიტაცია ძალიან მნიშვნელოვანია. ამ კუთხით ვგეგმავთ სოციალურ პროექტებს.

ლალი სპინაშვილი, განათლების პროფკავშირების რაიონული ორგა-



ნიზაციის თავმჯდომარე: -ეს ბავშვები საზოგადოებაში ადაპტაციას და ურთიერთობას ეჩვენებ. რაც ხშირად იქნება ასეთი აქციები, მით უკეთესია.

არაჩვეულებრივად ხატავენ და მეტი ყურადღება სჭირდებათ.

11 წლის ვარძილმა **რეზო სარალიძემ** ბურთი დახატა. მას ძალიან

უყვარს ფეხბურთის თამაში. „ციცინო მასწავლებელი დამპირდა, რომ დაბადების დღეზე ბურთს მაჩუქებს,“ - ამბობს რეზო.

ბორთული მესამეკლასელი **მარიამ გლუშაშვილი** დედა **მანანა გლუშაშვილი** ამბობს, რომ შშმ ბავშვები მასიური ღონისძიებებით განებივრებული არ არიან. ამიტომ ასეთ აქციას დიდი მნიშვნელობა ანიჭებს. რაც მთავარია, მარიამა ძალიან ვახარებელი.

მარინე ნაპაძე, მშობელი: -ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ აქციებს შშმ პირთა ოჯახის წევრებისთვის. კარგია, რომ ჩვენი შვილები საზოგადოებასთან ურთიერთობას ამყარებენ.

ხატვის აქცია უერთწოდ „სამოქალაქო კვირეულის“ ფარგლებში, რომლის ორგანიზატორია არასამთავრობო ორგანიზაცია „სილა“ და სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელი (R-CSN).

„მოხალისე გიდები“ მუზეუმში

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული მიმდინარეობს. კვირეულის ფარგლებში გაიმართა საგანმანათლებლო პროექტი „მოხალისე გიდები“.

ისტორიული მუზეუმის დირექტორი **ნინო ლიპიძე** მიიჩნევს, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი მოსწავლეების ჩართულობით ხორციელდება.

„თავად მოსწავლეები ატარებენ ექსკურსიას და უსსნიან თავიანთ თანატოლებს ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიას, წარსულს. პროექტი მნიშვნელოვანია იმით, რომ მოსწავლეები უფრო მეტად უსმენენ თავიანთ თანატოლებს და იმახსოვრებენ,“ - ამბობს ნინო ლიპიძე და დასძენს, რომ მუზეუმის ყველა პროექტი მიმართულია იმისკენ, რომ ახალგაზრდები აქტიურად ჩაერთონ

სამუზეუმო ცხოვრებაში.

ისტორიული მუზეუმის დირექტორის მოადგილე, პროექტ „მოხალისე გიდების“ ავტორი **მკა შველიძე** ამბობს, რომ წელს ამ პროექტში დაბა ხარაგაულის სამი სკოლის მოსწავლეები ჩაერთვნენ. „მოსწავლეებმა შეისწავლეს ექსპონატიები. წელს სიახლეა ის, რომ თემატურად მივიღეთ ექსპონატიების წარმოჩენას. მოსწავლეებმა სიღრმისეულად იმუშავეს და დიდი ცოდნა შეიძინეს,“ - ამბობს **მკა შველიძე**.

ხარაგაულის სასულიერო გიმნაზიის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე **თამარ კიკნაძე** დამთავლიერებულს ახმედ გოგოლაძის შესახებ ესაუბრა. თამარი მიიჩნევს, რომ ბევრი საინტერესო ინფორმაცია მიიღო.

„დიდი მადლობა ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს, ასეთი საინტერესო პროექტისთვის. პირველ

რიგში, კარგი ცოდნა შევიძინეთ, რაც გამოგადგება ცხოვრებაში. არ ვიცოდი, ხარაგაულს ამდენი გამოჩენილი პიროვნება თუ ჰყავდა. ძირეულად შევისწავლე ყველას ბიოგრაფია,“ - ამბობს სასულიერო გიმნაზიის მეათეკლასელი **ანა თაბუაშვილი**.

ხარაგაულის №3 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე **ნინო ჭიკინაძე** ხარაგაულელი ახალგაზრდებისთვის „მოხალისე გიდების“ პროექტს ძალიან მნიშვნელოვნად თვლის: „ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში განათავსებული ექსპონატების ისტორია ცოტამ თუ იცის. ვფიქრობ, მოსწავლეები უფრო მეტად დაინტერესდებიან მუზეუმით.“

„ჩემს თანატოლებს ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის ინტერიერი, ფასადი და ხარაგაულის სპორტული წარსული გვაყავს. სირცხვილია, რომ



არ ვიცოდეთ ხარაგაულის ისტორია,“ - ამბობს ხარაგაულის №3 საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე **ბიორაი მანუჩაძე**.

ისტორიულ მუზეუმში კვირეულის ფარგლებში საგანმანათლებლო

პროექტები გრძელდება. დაგეგმილია „მოხალისე კვრამიკა“, „წორი არქეოლოგები“ და „პატარა რესტავატორები“.

გვერდი მოაზრდა
ნინო ლიპიძე



სომხურ-ქართული მეგობრობა არის ძალიან მნიშვნელოვანი

ვაშლიყვის საჯარო სკოლა ჭაჭარაქის (ახალციხის მუნიციპალიტეტი) სომხურენოვან საბაზო სკოლასთან მეგობრობს. ორ სკოლას შორის ურთიერთობა ხუთი წლის წინ დაიწყო განათლების სამინისტროს პროექტით - არაქართულენოვან სკოლებთან დამეგობრება.

როგორც ჭაჭარაქის საბაზო სკოლის დირექტორი **მარიამ ოქროშიაძე** ამბობს, - პროექტი დასრულდა, მაგრამ ქართული და სომხური სკოლების მეგობრობა გრძელდება. -რუსთველმა თქვა - „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.“

ამაზე კარგს ვერაფერს ვიტყვი, - ამბობს ქალბატონი მარინე, - ყოველთვის უნდა ვეძებოთ მოყვარე, რადგან ადამიანის არსებობის მთავარი აზრი ამქვეყნად არის სიყვარული. უსიყვარულოდ არსებობა არარსებობას ნიშნავს.

ჩვენი მეგობრობის მთავარი საძირკველიც სიყვარულია.

ვაშლიყვისა და ჭაჭარაქის სკოლების მასწავლებლები და მოსწავლეები დროდადრო სტუმრობენ ერთმანეთს. ამჯერად, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, ვაშლიყვის სკოლამ მოინივია მეგობრები მესხეთიდან.

საზეიმო ღონისძიებაზე ვაშლიყვის სკოლის დირექტორმა **ჰატიმე ლუსსამანაშვილმა** ორ სკოლას

შორის მეგობრობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და კმაყოფილება გამოხატა იმის გამო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სომეხ მეგობრებთან ერთად აღნიშნავენ.

შეხვედრაზე მყოფმა ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის დირექტორმა **ლენა აბაშიძემ** აღნიშნა, რომ მისაბაძია ვაშლიყვისა და ჭაჭარაქის სკოლების მჭიდრო მეგობრობა და გამოთქვა სურვილი, რომ ვერტყვიჭალის სკოლამ აღადგინოს განძის არაქართულენოვან სკოლასთან მეგობრობა, რომელიც წლების წინ დაიწყო.

-ძალიან ამაღლებელი მომენტია, სხვა ერის წარმომადგენელი რომ ქართულ სიმღერას ასრულებს, - ამბობს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ღამია ჰინაძე**, - სასიამოვნოა, ჩვენს მინა-წყალზე მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანები რომ ქართულ ფოლკლორს, საქართველოს ისტორიას, ქართულ ხელოვნებას ეცნობიან. მისასალმებელია ამ ორი სკოლის მეგობრობა. დღევანდელ ღონისძიებას ნათელ ზოლად გასდევს რუსთველის სიტყვები „მეგობრობა გზად და ხიდად.“ მხოლოდ მეგობრობა გადაგვარჩენს, განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ერებს, რომელთაც გვაქვს უძველესი კულტურა და ტრადიცია. 14 დამწერ-

ლობა მსოფლიოში და მათ შორის ერთი ქართულია და ერთი - სომხური. დიდი სიამოვნებით ჩავერთვეთ ვაშლიყვის სკოლის დედეგაცაციაში, როცა ახალციხეში გადაწყვეტთ სტუმრობას. უნდა გავაღრმავოთ, მუნიციპალურ დონეზე უნდა გავაფართოვოთ ეს მეგობრობა.

-26 მაისი ძალიან მნიშვნელოვანი დღეა საქართველოსთვის, - ამბობს ჭაჭარაქის საბაზო სკოლის მასწავლებელი **სამელო ჰინაძისა**, - ვილოცავთ მთელ საქართველოს ჩვენი სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეეთა სახელით. დაე, საქართველო იყოს მდიდარი და გაერთიანებული. სომხურ-ქართული მეგობრობა არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ ძმების, - ჰაოსისა და ქართლოსის შვილები, დიდი თურგუნ პაპას შვილიშვილები ვართ. ეს მეგობრობა არც დღევანდელია და არც გუშინდელი, ძველი საუკუნეებიდან მოდის. დღეს ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ორი ერის მეგობრობის ისტორია და ეს ურთიერთობა ლამაზად უნდა განვავითაროთ.

ვაშლიყვის სკოლაში საზეიმო შეხვედრის შემდეგ მასპინძლებმა და სტუმრებმა ბორთში, საქართველოს დამოუკიდებლობისა და მერაბ კოსტავას ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გადაინაცვლეს. **ლაშრა გოგოლაძე**



ანოსა და **მირიანს** ვულოცავ გაბედნიერებას. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, შვილთა სიმრავლეს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. **თამარი კაპიაშვილი** **მანანა** და **როლანდი**

გამორჩეულ და ღირსეულ ხარაგაულს, სიკეთით, სიყვარულით და სათნოებით საცემ ქალბატონს, ბევრი კეთილი და სათნო საქმის მოთავეს, ყველას ღმერთისა და ჭირის მოზიარეს, დიდი და ლამაზი ოჯახის ღირსეულ წარმომადგენელს **ნინო ჯიბუჭი** დიდი სიყვარულით და საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ თქვენს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს. სიკეთე და სათნოება, რომელიც უხვად დატოვა ცხოვრების გზაზე, სიკეთედ და სიყვარულად დაგბრუნებოდეს. ჩვენ ნინო, გვიყვარხარ. მიიღე ჩვენი დიდი პატივისცემა და ერთგულება. **რაზო თავაშვილის** **სახელის** **პაპა** **ლიტმარაძე** **თამარი**

გამორჩეულ და ღირსეულ ხარაგაულს, სიკეთით, სიყვარულით და სათნოებით საცემ ქალბატონს, ბევრი კეთილი და სათნო საქმის მოთავეს, ყველას ღმერთისა და ჭირის მოზიარეს, დიდი და ლამაზი ოჯახის ღირსეულ წარმომადგენელს **ნინო ჯიბუჭი** დიდი სიყვარულით და საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ თქვენს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს. სიკეთე და სათნოება, რომელიც უხვად დატოვა ცხოვრების გზაზე, სიკეთედ და სიყვარულად დაგბრუნებოდეს. ჩვენ ნინო, გვიყვარხარ. მიიღე ჩვენი დიდი პატივისცემა და ერთგულება. **რაზო თავაშვილის** **სახელის** **პაპა** **ლიტმარაძე** **თამარი**

ვასანის საბავშვო ბაღის აღმზრდელს **მარია ჯორჯიანი** ვულოცავთ შვილიშვილის შექმნას. ვუსურვებთ პატარა ვაჟუკაცს, გაზრდილიყოს სასახელი ქართველი.

ვასანის საბავშვო ბაღის **თანამშრომელი** **თამარი**

ველოცავთ **თამარ** და **ლევან** **დვინაძე** **მირიანს** გაუთავის შექმნას. ვუსურვებთ პატარა **ღამიას** ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და სიხარულს. უფალი ფარავდეს მას და მის ოჯახს.

რამაზი და **თამარი** **დვინაძე** **მირიანს** **მირიანს**

ველოცავთ **საბაზო** **დვინაძე** **მირიანს** შვილის და **მირიან** **დვინაძე** შვილიშვილის ამქვეყნად მოვლინებას. ვუსურვებთ პატარა **გაბრიელს** და **პატარა ალექსანდრეს** სასახელი ქართველებად აღზრდას და ღვთის მფარველობას.

ხარაგაულის **ფიდა** **ანდრია** **პირველშობილის** **სახელის** **სასულიერო** **გიგანაძის** **პაპა** **ლიტმარაძე**

ველოცავთ **ლაშრა** **მანაშაძე** შვილების **მირიან** **მანაშაძის** და **ანა** **ალაშაძის** ქორწინებას. ვუსურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, შვილთა სიმრავლეს და უფერ სიხარულს ცხოვრების გზაზე. უფლის მფარველობა არ მოკლებოდეს მათ ახალშექმნილ ოჯახს.

ხარაგაულის **ფიდა** **ანდრია** **პირველშობილის** **სახელის** **სასულიერო** **გიგანაძის** **პაპა** **ლიტმარაძე** და **თამარ** **სოლომონი**

რობერტი ნიქაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მეგობრის **როლანდ ქარაგინის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

თეიმურაზ გოგოლაძე და თამარი დევანოსიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იწყებენ, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ქალბატონი **მარია მანაშაძე** და თანაგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის აღმინისტრატორი და პედაგოგიური თანაგრძნობენ ზინაიდა ნამგალაურს ძმის **სანდრო ნამგალაურის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტარიელ კაკიაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა **ლოლა კაკიაშვილი**

და თანაგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები იწყებენ, რომ გარდაიცვალა **ლოლა კაკიაშვილი**

გარდაცვალების გამო.

მოლოთის საჯარო სკოლის პედაგოგიური და ტექნიკური თანაგრძნობენ თანამშრომელს სათუნა კაკიაშვილს დედამთილის **ლოლა კაკიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

ჭაფარაულის მცხოვრები მეგობრები მწუხარებით იწყებენ, რომ გარდაიცვალა **მარია მანაშაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველშობილის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პედაგოგიური და ტექნიკური თანამშრომელი **ლოლა კაკიაშვილი**

გარდაიცვალა და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„ანბანის გაცნობა“ სალანძილეში



„დედა ენისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება ლოკვით დაიწყო ექვსმა პირველკლასელმა ვაჟმა სალანძილის საჯარო სკოლაში (დირექტორი ვარდო ჭიპაშვილი). მოსწავლეებმა ლექსებით გაიხსენეს „დედა ენის“ შექმნისა და განვითარების ისტორია, შეამკეს ქართული მწერლების ულამაზესი სტრუქტურით. სალანძილეში

მაზა ქართული ენის სადიდებელმა სიმღერებმა. ანბანთქება ანდაზებით, - ასეთი ხერხით შეამკეს ქართული ენა პირველკლასელებმა. სლაიდით შეაჩაქმეს კლასის ერთწლიანი მუშაობა. წარმოადგინეს ინსცენირებები იაკობ გოგებაშვილის „დედა ენიდან.“ ღონისძიება კი მხიარული ცეკვებით დაასრულეს.

სალანძილის საჯარო სკოლის პედაგოგმა **ზინა ქაიჭაია** აღნიშნა, რომ სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა პატარების ცოდნის დონით. მან იმედი გამოთქვა, რომ ასეთი შემართება და ცოდნის წყურვილი მათ მალე კლასებშიც გაეცვება. სალანძილის საჯარო სკოლის დირექტორმა **პარკო ჭიპაშვილმა** აღნიშნა, რომ ღონისძიებაზე ჩანდა პედაგოგ ვაჟ კურტანიძის დაუღალავი შრომის შედეგი და ნაყოფიერი თანამშრომლობა მშობლებთან. ახალგაზრდა პედაგოგს ნამუშევარი შეუფასა და სამომავლო გზა დაულოცა სალანძილის სკოლის დანაშაულებით კლასების ამაღლარმა მასწავლებლებმა **ლილა მარიაშაძე**. თავად **პაპა ქარაგინი** კი ამბობს, რომ ძალიან მონდომებული და მოტივირებული მოსწავლეები ჰყავს: „მე მხოლოდ მიმართულება მიეცე. მათ გააკეთეს ყველაფერი. ღონისძიების მოწყობაში ასევე ძალიან დამეხმარნენ მშობლები.“

თამარ გოგოლაძე

აინდი

დ. ხარაგაული	ქიქხი
28.05 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +34°C, ღამე +21°C;	28.05 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +32°C, ღამე +19°C;
29.05 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +27°C, ღამე +21°C;	29.05 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +26°C, ღამე +19°C;
30.05 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +28°C, ღამე +21°C;	30.05 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +27°C, ღამე +19°C;
31.05 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +29°C, ღამე +20°C;	31.05 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +28°C, ღამე +19°C;
01.06 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +27°C, ღამე +19°C;	01.06 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +26°C, ღამე +18°C;
02.06 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +28°C, ღამე +19°C.	02.06 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +26°C, ღამე +18°C.

გორიში	მურში
28.05 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +31°C, ღამე +19°C;	28.05 - მზიანი დარი, დღე +30°C, ღამე +16°C;
29.05 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +29°C, ღამე +18°C;	29.05 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +28°C, ღამე +16°C;
30.05 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +30°C, ღამე +17°C;	30.05 - მზიანი დარი, დღე +28°C, ღამე +15°C;
31.05 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +31°C, ღამე +17°C;	31.05 - მზიანი დარი, დღე +30°C, ღამე +15°C;
01.06 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +28°C, ღამე +18°C;	01.06 - მზიანი დარი, დღე +26°C, ღამე +16°C;
02.06 - (ცვალბადი მორეზულულობა ნალექით, დღე +27°C, ღამე +18°C.	02.06 - მზიანი დარი, დღე +26°C, ღამე +15°C.

<p>მთავარი რედაქტორი ლაშრა გოგოლაძე 593 900 501</p>	<p>რედაქტორის მოადგილე ნინო კაპანაძე 593 35 65 80</p>	<p>ლიბანიერი შოთა ლომიძე 557 10 20 47 shotiko@lomidze.info</p>	<p>მის.: ხარაგაული, სოლომონ მეფის №59 ტელ.: 0 433 22 16 27 593 900 501 gogoladze.laura@gmail.com გაზეთი რეგისტრ. №47/5-ბ-12</p>
---	---	--	---